საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

აგრარული ინოვაციების კომისიის სხდომის

ოქმი # 8 (40)

თბილისი 2023 წლის 19 ივლისი, 14:00 სთ.

აკადემიის სხდომათა დარბაზი

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: აკადემიის პრეზიდენტი აკად. გივი ჯაფარიძე, აკად. ალექსანდრე დიდებულიძე (კომისიის თავმჯდომარე), აკადემიის ექსპერტი დოქტორი გოჩა ცოფურაშვილი (თავმჯდომრის მოადგილე), აკადემიის სტიპენდიატი ეკატერინა კაციტაძე (კომისიის საბჭოს წევრი), ქეთევან ჭიპაშვილი (კომისიის მდივანი); **აკადემიიდან:** აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიკოსი ელგუჯა გუგუშვილი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი დოქტორი მარინა ბარვენაშვილი და აკადემიის სტიპენდიატი დოქტორი გიორგი ქუთელია; **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან:** მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახური უფროსი, დოქტორი ნიკოლოზ კიკნაველიძე, სამსახურის უფროსები, პროფესორი ომარ თედორაძე და ნოდარ ხოხაშვილი, სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტი, დოქტორი ზურაბ ბრეგვაძე; სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერები, პროფესორი ოთარ ქარჩავა, დოქტორები თენგიზ ცარციძე და თ.ნადირაშვილი **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან:** პროფესორი მარინე მარდაშოვა; **საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან:** პროფესორი ალექსანდრე რუსეცკი; კლასტერების ეროვნული პლატფორმიდან კობა კიკაბიძე; **სტრატეგიული ინიციატივების სააგენტოდან:** დოქტორი ნოდარ ძიძიკაშვილი; ბიზნესმენი ამირან ომიაძე (სულ 22 მონაწილე).

სხდომის თავმჯდომარე ალ. დიდებულიძე,

სხდომის მდივანი ქ. ჭიპაშვილი.

დღის წესრიგის დამტკიცება: კომისიის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სხდომის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულიძემ, რომელმაც დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგის პროექტი. დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

დღის წესრიგი:

1.მოხსენება: სოფლის მეურნეობის სისტემაში არსებული კონფლიქტების მეტაკოგნიტური მართვის შესაძლებლობები. მომხსენებელი: ფსიქოლოგიის დოქტორი ალექსანდრე რუსეცკი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოციერებული პროფესორი.

2.კომისიის მიერ 2023 წლის სამუშაო გეგმის შესრულების შესახებ კომისიის თავმჯდომარის აკად. ალექსანდრე დიდებულიძის ინფორმაცია.

1.მოისმინეს: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოციერებული პროფესორის ფსიქოლოგიის დოქტორ ალექსანდრე რუსეცკის მოხსენება: სოფლის მეურნეობის სისტემაში არსებული კონფლიქტების მეტაკოგნიტური მართვის შესაძლებლობები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა კომისიის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა კონფლიქტების მეტაკოგნიტური მართვის მიდგომის დიდ მნიშვნელობას და მის პრაქტიკულ როლს სოფლის მეურნეობის დარგისთვის.

თავის მოხსენებაში ალექსანდრე რუსეცკიმ აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის წარმატებებზე დამოკიდებულია როგორც მოსახლეობის სურსათით მომარაგება, ასევე მისი სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ამ დარგში არსებული კონფლიქტების მართვის ეფექტიანობაზე დამოკიდებულია მისი მდგრადი განვითარება, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოება.

საქართველოში რეგისტრირებული 660 ორგანზიაციიდან, რომელთა ბრენდში ფიქსირდება ცნება „აკადემია“, მხოლოდ 40-დე ორგანიზაციაა კავშირში მეცნიერებასთან და განათლებასთან. მათ შორის ორი სახელმწიფო აკადემიიდან ერთ-ერთი აკადემია არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. ამ დარგს ჰყავს საკუთარი სტრუქტურირებული ინტელექტუალური ელიტა, რაც წარმოადგენს

საქართველოში დარგობრივი აკადემიის ფუნქციონირების უნიკალურ მაგალითს და შესაძლებლობას, რომ განვიხილოთ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ბაზაზე შექმნილი მეტაკოგნიტური მართვის თეორიის ზოგიერთი ინოვაციური მიდგომა. ამ თეორიის შექმნა განაპირობა საქართველოში არსებულმა ქრონიკულად მოუგვარებელმა კონფლიქტებმა. თეორია ცდილობს გამოიყენოს არსებული, მაგრამ დღემდე გამოუყენებელი ცოდნის კაპიტალი და სთავაზობს ასევე კვლევების ჩარჩოში შექმნილ უახლეს ინოვაციებს.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ აკადემიის სტრუქტურაში არსებობს - ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება, რომელიც სწავლობს სოფლის მეურნეობის მართვის ახალ მიდგომებს, რაც წარმოადგენს ინოვაციების დანერგვისათვის აუცლებელი ინსტიტუციური მზაობის მაჩვენებელს. ასევე მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს აკადემიის სახელმწიფო, ბიზნეს და სამოქალაქო პარტნიორ-ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მაღალი დონე.

გამომდინარე იქედან, რომ სოფლის მეურნეობის დარგი წარმოადგენს რთული ტიპის მრავალკომპონენტიან სისტემას მას შეესაბამება მრავალფეროვანი კონფლიქტების მეტასისტემა, რაც, სავარაუდოთ, აყენებს მას მნიშვნელოვან ზარალს, რომელიც მოითხოვს კომპლექსურ შეფასებას. შესაძლებელია მეტაკოგნიტური მართვის ისეთი სერვისის სისტემის ორგანიზება, რომელიც შეამცირებდა შესაძლო დანაკარგებს. სერვისი უნდა ახდენდეს ერთი მხრივ - დარგში არსებული კონფლიქტების სისტემის კვლევას, ხოლო მეორე მხრივ - გარე კონფლიქტების დარგზე ზეგავლენის კვლევას. აქ იგულისხმება: შეიარაღებული, პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და ეკონომიკური კონფლიქტების ზეგავლენა დარგის ფუნქციონირებაზე.

კონფლიქტი არ აღიქმევა მხოლოდ უარყოფითი კონოტაციით, მას გააჩნია პოზიტიური კონოტაციაც და/ან ამ უკიდურესობას შორის არსებული სხვა შინაარსების მთელი სპექტრი, კონფლიქტს (პრობლემას, კრიზისს, კატასტროფას, ტრავმას, ტკივილს, ავადმყოფობას) გააჩნია მეტაკოგნიტური ღირებულება, განწყობას განსაზღვრავს საზოგადოების კულტურა (რეგრესიული-პროგრესიული თუ პლურალისტული), კონფლიქტი არაა მხოლოდ სოციალური არსის ის ფსიქოლოგიურიცაა, კონფლიქტის არსის შეფასება შეიძლება შემეცნების სხვადსხვა

მეთოდით რაც იძლევა მეტაშეფასების შესაძლებლობას, გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციის და ხარისხის ზრდას. მეტამეცნიერების მოდელის თანახმად ასევე განიხილება „კონსილიუმის მეთოდი“,

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ამ თვალსაზრისით ის ფაქტი, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის პოლიტიკა უნდა ვრცელდებოდეს არა მხოლოდ კონტროლირებად, არამედ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე.

აზრი გამოთქვეს: მოხსენების შემდეგ გამართულ განხილვაში მონაწილეობდნენ ალ.დიდებულიძე, გ.ცოფურაშვილი, ო.თედორაძე, ნ.ხოხაშვილი, ე.კაციტაძე, ო.ქარჩავა, თ.ნადირაშვილი, გ.ქუთელია, ნ.კიკნაველიძე, ქ.ჭიპაშვილი, რომლებმაც აღნიშნეს მომხსენებლის მიერ ჩატარებული მუშაობის აქტუალობა, მოხსენების ინფორმატიულობა და მიდგომის ინოვაციურობა.

დაადგინეს:

1. მოწონებული იქნეს წარმოდგენილი მოხსენება;
2. სოფლის მეურნეობაში არსებული კონფლიქტების პრევენციის და პოზიტიური ტრანსფორმაციის მიზნით, სასურველია შეიქმნას კონცეპტუალური ჩარჩო და ეროვნული პროგრამა კონფლიქტების კლასიფიკაციის, მონიტორინგის, შეფასების, რეაგირების (პრევენციის, მედიაციის, ფასილიტაციის, არბიტრაჟის, პოსტ-კონფლიქტური რეაბილიტაციის შესაძლებელობები) უზრუნველსაყოფად;
3. აკადემიის პროგრამის მიზნების და ამოცანების მიღწევისათვის შეიქმნას სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული კონფლიეტების მართვის სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაში მონაწილეობაზე დათანხმდნენ აკად. ნოდარ ჭითანავა, დოქტორები გ.ცოფურაშვილი, ე.კაციტაძე, ა.რუსეცკი, ნ.ძიძიკაშვილი, თ.ნადირაშვილი, თ.ცარციძე.

2. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომრის აკად. ალ.დიდებულიძის ინფორმაცია კომისიის მიერ 2023 წლის სამუშაო გეგმის შესრულების შესახებ.

ინფორმაციაში აღინიშნა, რომ საანგარიშო წელს განხილული იქნა 8 მოხსენება (გეგმის შესრულების ამსახველი ცხრილი თან ერთვის ოქმს).

აღსანიშნავია, რომ მოხსენება: „საქართველოს ვენახების კადასტრის აგების გზები და შედეგები“

(მომხსენებლები: სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები ირმა მდინარაძე და დავით მაღრაძე, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მევენახეობის კადასტრის სამმართველო) შემდეგ გატანილი იქნა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე და მომხსენებლები დაჯილდოვნენ აკადემიის საპატიო სიგელით.

შემდეგ მომხსენებელმა წარადგინა აგროინოვაციების კომისიის 2023 წლის კორექტირებული სამუშაო გეგმა (თან ერთვის ოქმს).

დაადგინეს:

1. ინფორმაცია კომისიის მიერ 2003 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ მიღებული იქნეს ცნობად.
2. დამტკიცდეს კომისიის 2023 წლის მუშაობის კორექტირებული გეგმა (დამტკიცდა ერთხმად).

სხდომის თავმჯდომარე: ალექსანდრე დიდებულიძე

მდივანი: ქეთევან ჭიპაშვილი